

ოგიუსტ ლაკუან დე ვილმორანი

პარიზიდან ბომბეში სპარსეთის გავლით

1889 წლის ზაფხულში ნაპოლეონ საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი ბოტანიკოსების ოჯახის წარმომადგენელი, პარიზის ერთ-ერთი პრესტიჟული ლიცეუმის 20 წლის სტუდენტი, ოგიუსტ ლაკუან დე ვილმორანი. სხვა ავტორთაგან განსხვავებით, ახალგაზრდა სტუდენტი განსაკუთრებულ ყურადღებას თბილისის გასართობ ადგილებს უთმობს და იმჟამად თბილისში მყოფ უცხოელებს ასახელებს.

**Auguste Lacoïn de Vilmorin. De Paris a Bombay par la Perse. Illustrations d'après les photographies rapportées par auteur. Paris, Libraire de Firmin-Didot et C<sup>ie</sup> imprimeurs de l'Institut, 1895**

Refusant les services de Joseph, qui veut à toute force nous accompagner, sous prétexte que nous ne connaissons pas le russe, nous sortons pour visiter la ville. Après avoir fait le tour de la place, nous nous décidons à suivre une petite rue, qui conduit dans les quartiers bas. Cette rue, peuplée uniquement de Persans, présente un aspect très curieux. Toutes les maisons ont leur rez-de-chaussée de plain-pied, sans devantures ni portes aucunes, de telle façon qu'on peut voir les gens travailler à leur métier, comme dans autant de petites niches. Il y en a d'accroupis au milieu de la ferraille ou de vieilles armes, d'autres occupés, soit à réparer un bouclier, soit à ajuster les pièces d'un pistolet. Plus loin, on voit des marchands de tapis, dont la boutique est séparée de celle d'un marchand de soie par un boulanger ou un boucher. Il est des endroits où la voie se rétrécit à tel point que les espèces de jalousies, placées devant les fenêtres, se touchent d'un côté à l'autre de la rue; la circulation, en ces endroits, est très difficile, d'autant plus qu'il se trouve toujours, pour barrer le passage, de malheureux ânes chargés, à en tomber, de pastèques ou de tout autre fardeau. J'admire la boutique d'un Persan, du nom de Kaffaroff, qui, contrairement à l'usage, possède une devanture à l'européenne. (22-23)

ჟოზეფს, – რომელიც ყველა დონეს ხმარობდა ჩვენთან ერთად წამოსასვლელად იმ საბაზით, რომ ჩვენ რუსული არ ვიცოდით, – უარი ვუთხარით დახმარებაზე და ქალაქში გავედით. მოედნის დათვალიერების შემდეგ პატარა ქუჩას გავუყევით, რომელიც ქვედა უბნებისკენ მიდიოდა. ეს ქუჩა, რომელიც მხოლოდ სპარსელებითაა დასახლებული, საოცარი სანახავია. ყველა სახლის პირველი სართული მიწის დონეზეა, ყოველგვარი ვიტრინისა და კარის გარეშე იმგვარად, რომ შეიძლება დაინახო თუ როგორ მუშაობენ ადამიანები მრავალ პატარა ნიშაში. ერთი მეტალის გროვასთან თუ ძველ იარაღთანაა ჩაცუცქული, სხვა ფარის შეკეთებით თუ პისტოლეტის დეტალების მორგებითაა დაკავებული. შემდეგ ხალიჩების გამყიდველებს დაინახავ, რომელთა დუქნები აბრეშუმით მოვაჭრისგან მეპურის ან ყასბის მაღაზიითაა გამოყოფილი. არის ადგილები, სადაც გზა იმდენად ვიწროვდება, რომ ერთი ქუჩის ფანჯრების ქალაუბრი მეორე ქუჩის ფანჯრებისას ეხება; ამ ადგილებში მოძრაობაც ძალიან ძნელია, მით უმეტეს, რომ გზის ჩასახერგად იქ მუდამ ნახავ საცოდავ დაზურგულ ვირებს, საიდანაც საზამთრო ან რაღაც სხვა ტვირთი ვარდება. აღტაცებული დავრჩი ერთი სპარსელის, გვარად კაფაროვის, დუქნით, რომელსაც აქაური ადათ-წესისაგან განსხვავებით, ევროპული სტილის ვიტრინა აქვს.

On trouve, dans ce magasin, un grand choix de tapis et d'autres objets provenant de la Perse, du Turkestan, du Kurdistan, etc. Nous ne poussons pas plus loin notre promenade, car la chaleur est étouffante: il fait près de 40° à l'ombre. Nous revenons à l'hôtel. Le soir, M. Martin nous propose d'aller

visiter le jardin du Mushteïd, qui est le bois de Boulogne de Tiflis. Nous acceptons cette proposition, et après dîner, nous prenons un petit tramway, qui vient d'être récemment installé, à Tiflis, par M. Radelet, un excellent Belge que nous avons déjà eu le plaisir de voir à l'hôtel et qui a une grande sympathie pour la France et les Français. Vingt minutes après, nous sommes à l'entrée du jardin. Les allées conduisent, par endroits, dans des espaces laissés vides, où joue la musique militaire. Des tables pour les consommateurs et des bancs pour le public entourent ces sortes de clairières. Ce jardin, par la fraîcheur que l'on y trouve, le soir, est un véritable bienfait pour les habitants de Tiflis; aussi, l'affluence des gens qui s'y rendent après dîner est-elle considérable. Il existe, cependant, d'autres endroits frais à Tiflis; je veux parler des jardins particuliers qui se trouvent de part et d'autre du large boulevard qui conduit au moudjtéhid. La plupart de ces jardins ont été loués ou appartiennent à des clubs; d'autres renferment des cafés-concerts; deux d'entre eux sont particulièrement fréquentés. Dans l'un, se trouve actuellement un petit théâtre. On y joue, tous les jours, en russe «Madame Angot». Dans l'autre, qui appartient à un Français, M. Barberon, il y a, trois fois par semaine, bal masqué, ce que les Russes désignent par « mascarade ». Les femmes sont tenues de venir en cet endroit avec un loup; bien peu se costument. A l'extrémité du jardin, se trouve la salle de danse et un café-restaurant. La musique militaire prête son concours à cette petite fête. C'est au son de cette musique que Géorgiens ou Tartares, Arméniens ou Persans exécutent les danses de leur pays. (23)

ამ მაღაზიაში ხალიჩებისა და სხვა საგნების დიდი არჩევანია სპარსეთიდან, თურქმენეთიდან, ქურთისტანიდან და ა.შ. უფრო შორს აღარ წავედით, რადგან მახრჩობელა სიცხეა: ჩრდილში თითქმის 40 გრადუსია. სასტუმროში დავბრუნდით. საღამოს ბატონი მარტენი გასეირნებას გვთავაზობს თბილისის ბულონის ტყეში – მუშთაიდის ბაღში. ჩვენ მივიღეთ მისი წინადადება და ვახშმის შემდეგ პატარა ტრამვაით გავემგზავრეთ, რომელიც თბილისში ახლახან დაამონტაჟა შესანიშნავმა ბელგიელმა, ბატონმა რადლემ, რომლის ნახვის სიამოვნება უკვე გვქონდა სასტუმროში და რომელიც დიდი სიმპათიითაა გამსჭვალული საფრანგეთისა და ფრანგების მიმართ. ოცი წუთის შემდეგ ბაღის შესასვლელში ვიყავით. აქა-იქ ხეივნები იმ თავისუფალ ადგილებამდე მიდის, სადაც სამხედრო მუსიკა უკრავს. ამ ველობების გარშემო მომხმარებლებისთვის მაგიდები, პუბლიკისთვის კი მერხები დგას. საღამოს სიგრილის გამო ეს ბაღი ჭეშმარიტი სიკეთეა თბილისის მოსახლეობისთვის; ვახშმის შემდეგ აქ ბევრი ხალხი მოდის. ამასობაში, თბილისში სხვა გრილი ადგილებიც არის; მხედველობაში მაქვს მუშთაიდისკენ მიმავალი ფართო ბულვარის ორივე მხარეს მდებარე კერძო ბაღები. ამ ბაღების უმრავლესობა გაქირავებულია ან კლუბებს ეკუთვნით; სხვებში კაფემანტანებია; მათგან ორი განსაკუთრებით პოპულარულია. ერთში ამჟამად პატარა თეატრია. რუსულ ენაზე იქ ყოველდღე წარმოადგენენ „Madame Angot“-ს<sup>1</sup>. მეორეში, რომელიც ფრანგ ბატონ ბარბერონს ეკუთვნის, კვირაში სამჯერ ეწყობა ნიღბიანი მეჯლისი, რასაც რუსები „მასკარადს“ უწოდებენ. ქალები ვალდებულნი არიან, რომ იქ შავი ნახევარნიღბით მივიდნენ, მაგრამ ასე ცოტანი თუ იკაზმებიან. ბაღის ბოლოში საცეკვაო დარბაზი და კაფე-რესტორანია. ამ პატარა დღესასწაულში სამხედრო მუსიკაც მონაწილეობს. მის ხმაზე ქართველები თუ თათრები, სომხები თუ სპარსელები თავიანთი ქვეყნის ცეკვებს ასრულებენ.

Le temps nous aurait paru bien long à Tiflis si nous n'avions rapidement fait la connaissance de plusieurs Français et, entre autres, de M. Juncker et du Comte de Belfort de la Roque, deux compatriotes envoyés en mission, en Perse. (25)

<sup>1</sup> სამ მოქმედებიანი ოპერეტა „Madame Angot“ პირველად 1872 წელს ბრიუსელში – „Fantaisies-Parisiennes“-ში, 1873 წელს კი პარიზის „Folies-Dramatiques“-ში დადგეს.

თბილისში დრო ძალიან გაწელილი მოგვეჩვენებოდა, სწრაფად რომ არ გაგვეცნო რამდენიმე ფრანგი, მათ შორის სპარსეთში მისიით გაგზავნილი ჩვენი ორი თანამემამულე – ბატონი იუნკერი და გრაფი დე ბელფორ დე ლა როკი.

C'est avec ces messieurs que nous allons voir M. de la Chaume, notre très aimable consul de France, à Tiflis. Au cours de l'une de ces visites, M. de la Chaume nous offrit des billets pour le banquet de la fête du 14 juillet, qui devait réunir toute la colonie française, dans le jardin Barberon. (25)

სწორედ ამ ბატონებთან ერთად უნდა შევხვედროდით თბილისში საფრანგეთის კონსულს, მეტად თავაზიან ბატონ დე ლა შომს. ერთ-ერთი ვიზიტის დროს მან შეგვთავაზა ბილეთები 14 ივლისის<sup>2</sup> საზეიმო ბანკეტზე დასასწრებად, რომელზეც მთელი ფრანგული კოლონია ბარბერონის ბაღში შეიკრიბებოდა.

Ce banquet fut très gai; la table, où l'on comptait plus de soixante couverts, avait été dressée en plein air. Après les deux toasts officiels au Tzar et au Président de la République, d'autres toasts furent portés par les convives. M. Radelet, notamment, en porta un à la France; la musique militaire jouait, suivant les circonstances, l'Hymne national misse, la Marseillaise ou la Brabançonne. (25)

ეს ბანკეტი ძალიან მხიარული იყო; მაგიდა, რომელთანაც სამოცზე მეტი ადგილი იყო, ღია ცის ქვეშ იდგა. *ცარისა* და რესპუბლიკის პრეზიდენტის ორი ოფიციალური სადღეგრძელოს შემდეგ, სხვა სადღეგრძელოები შეისვა. კერძოდ, ბატონმა რადლემ საფრანგეთის სადღეგრძელო დალია; გარემოების მიხედვით, სამხედრო ორკესტრი რუსეთის ნაციონალურ ჰიმნს, მარსელიეზას ან ბრაბანსონს<sup>3</sup> უკრავდა.

თარგმნა ირინე ნაჭყებიამ

---

<sup>2</sup> 1789 წლის 14 ივლისი, ბასტილიის ციხის აღების დღე საფრანგეთის ნაციონალური დღესასწაულია.

<sup>3</sup> ბრაბანსონი (Brabançonne) – ბელგიის ჰიმნის ტექსტი 1830 წლის სექტემბერში დაწერა ახალგაზრდა ფრანგმა რევოლუციონერმა ჟენევალმა, მუსიკა – ფრანსუა ვან კამპენგაუტმა. 1860 წელს ჰიმნს ოფიციალური სტატუსი მიენიჭა.